

I6 სექტემბერი September

18:30

Gianandrea Noseda / conductor
Mikhail Pletnev / piano
Georgian Philharmonic Orchestra

Robert Schumann (1810-1856)
Concerto for Piano and Orchestra in A Minor, Op. 54
Allegro affettuoso
Intermezzo: Andantino grazioso
Allegro vivace

Felix Mendelssohn (1809-1847)
Symphony No. 4 in A Major, Op. 90, "Italian"
Allegro vivace
Andante con moto
Con moto moderato
Presto and Finale: Saltarello

ჯანანდრეა ნოზედა / დირიჟორი
მიხაილ პლეტნიოვი / ფორტეპიანო
საქართველოს ეროვნული სიმფონიური ორკესტრი

რობერტ შუმანი (1810-1856)
კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისთვის ლა მინორი, თხზ. 54
Allegro affettuoso
Intermezzo: Andantino grazioso
Allegro vivace

ფელიქს მენდელსონი (1809-1847)
სიმფონია No. 4 ლა მაჯორი, თხზ. 90, "იტალიური"
Allegro vivace
Andante con moto
Con moto moderato
Presto and Finale: Saltarello

რობერტ შუმანი

კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისთვის ლა მინორი, თხზ. 54

1839 წელს შუმანმა გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც ისაუბრა საფორტეპიანო კონცერტის ჟანრის გამოწვევებზე: "დიდი ხანია უკვე ადგილი აქვს ფორტეპიანოს ორკესტრისაგან განცალკევებას... ჩვენ უნდა დაველოდოთ გენიოსს, რომელიც წარმოგვიდგენს ორკესტრისა და ფორტეპიანოს კომბინაციის ახალ და უფრო ეფექტურ სახეს; დაგვანახებს, როგორ შეუძლია კლავიატურსთან მჭიდროდ დომინანტ სოლისტს თავისი ინსტრუმენტისა და საშემსრულებლო ხელოვნების არსის უფრო ნათლად წარმოჩენა; გვიჩვენებს, როგორ ძალუძს ორკესტრს, არ დასჭერდეს მხოლოდ დამკვირვებლის ფუნქციას და მთელი თავისი მრავალფეროვნებით შეუერთდეს საერთო წარმოდგენას". 1845 წელს კი შუმანმა დაწერა თავისი საფორტეპიანო კონცერტი, იქცა რა თავად მის მიერვე ნანატრ გენიოსად. უნდა აღინიშნოს, რომ ნაწარმოები 1841 წლის მაისში შეიქმნა, ოღონდ ეს იყო ერთნაწილიანი საკონცერტო ფანტაზია ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის; აი 1845 წელს კი შუმანმა ფანტაზიას ორი ნაწილი დაამატა და კონცერტად აქცია. კონცერტი თავის დროზე გამოიჩინა ფორტეპიანოსა და ორკესტრის ურთიერთკავშირის ინტენსიურობითა და ორგანულობით, რითაც ის დაუპირისპირდა იმ პერიოდის ვირტუოზულ კონცერტებში ტრადიციად ქცეულ სტანდარტს - ფორტეპიანოსა და ორკესტრის ერთმანეთთან შეჯიბრებას. გარდა ამისა, ვირტუოზულობის დემონსტრირების ნაცვლად, ლა-მინორულმა კონცერტმა სოლისტიგან მოითხოვა ღრმა ემოციები, დახვეწილობა და გადმოცემის სიცხადე. ფანტაზიის პირველი შესრულება შედგა 1841 წლის 13 აგვისტოს ლაიფციგის გევანდჰაუსში. ფორტეპიანოსთან შუმანის მეუღლე კლარა შუმანის იჭდა. სრული, სამნაწილიანი ვერსიის პრემიერა კი დრეზდენში ჩატარდა, 1845 წლის 4 დეკემბერს. კლარას თანმხლებ ორკესტრს მიძღვნის ადრესატი, ფერდინანდ ჰილერი დირიჟორობდა. 1846 წლის 1 იანვარს კონცერტი კვლავ შესრულდა, ამჯერად ფელიქს მენდელსონის ხელმძღვანელობით. მას შემდეგ შუმანის ერთადერთი საფორტეპიანო კონცერტი მთელს მსოფლიოში პიანისტებისა და ორკესტრების რეპერტუარის განუყოფელ ნაწილად იქცა.

ფელიქს მენდელსონი

სიმფონია No. 4 ლა მაჟორი, თხზ. 90, "იტალიური"

1830 წელს, შუმანის საფორტეპიანო კონცერტის დირიჟორობამდე თექვსმეტი წლით ადრე, 20 წლის ფელიქს მენდელსონი მეგობრის, იოჰან ვოლფგანგ ფონ გოეთეს რჩევით გაემგზავრა იტალიაში. "ეს იტალიაა! და ახლა იწყება ის, რასაც ყოველთვის ველოდი... უმაღლესი ხარისხის სიხარული! მე მიყვარს ის!" - წერდა იგი მამას. იტალიის სილამაზითა და ჯადოსნური ატმოსფეროთი მოხიბლულმა კომპოზიტორმა დაიწყო მუშაობა სიმფონიაზე, რომელშიც, მისი აზრით, აისახებოდა არა მხოლოდ იტალიური ხელოვნებისა და პეიზაჟებისგან გამოწვეული შთაბეჭდილებები, არამედ იტალიელი ხალხის სასიცოცხლით აღსავსე სულისკვეთებაც. ლა-მაჟორული სიმფონია, მეტსახელად "იტალიური", მენდელსონმა დაასრულა 1833 წლის მარტში, ბერლინში. პრემიერა კი შედგა ლონდონში იმავე წლის 13 მაისს; ლონდონის ფილარმონიულ ორკესტრს თავად მენდელსონმა უდირიჟორა. მიუხედავად წარმატებული პრემიერისა, მენდელსონი წლების განმავლობაში ხვეწდა სიმფონიის პარტიტურას. მას არასოდეს გამოუქვეყნებია ის და თავის სიცოცხლეში აკრძალა კიდევ მისი გერმანიაში შესრულება. გარდაცვალებისას კომპოზიტორმა დატოვა ჩანაწერები, სავსე ჩასწორებებით, რომლებიც იგნორირებულ იქნა 1851 წელს, "იტალიური" სიმფონიის ორიგინალური ვერსიის გამოქვეყნებისას. ვარიანტი, რომელიც შეიცავდა ბოლო სამ ნაწილში მენდელსონის მიერ გაკეთებულ ჩასწორებებს, მოგვიანებით დაბეჭდა გამომცემლობამ Bärenreiter. მიუხედავად ამისა, ორკესტრების მიერ დღესაც გამოყენებულ სტანდარტულ გამოცემად მაინც „იტალიური“ სიმფონიის ორიგინალური, მენდელსონის მიერ დაწუნებული ვერსია იქცა.

ამ დროს საქართველოში...

პირველი ქართული საფორტეპიანო კონცერტი დაიწერა შუმანის ლა-მინორული კონცერტის შექმნიდან თითქმის შვიდი ათწლეულის შემდეგ. 1913 წლის 7 მარტს ვენის ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ დარბაზში, "მუზიკფერაინში" შესრულდა ქართველი პიანისტისა და კომპოზიტორის ერეკლე ჯაბადარის საფორტეპიანო კონცერტი "ქართული რაფსოდია". "ჩვენ გავიცანით იშვიათი ტალანტის, ფრიად ნიჭიერი პიანისტი და კომპოზიტორი ერეკლე ჯაბადარი, მის რაფსოდიაში სხარტადაა გადმოცემული ქართული ეროვნული მელოდიები", - წერდა ვენის ავტორიტეტული გაზეთი "ფრემდენ ბლატი". შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ამ ქართველმა ემიგრანტმა, რომლის ნაწარმოებები ხშირად სრულდებოდა ევროპაში, ერთ-ერთმა პირველმა გააცნო ევროპას ქართული საფორტეპიანო და საკომპოზიტორო სკოლების მიღწევები. ჯაბადარი 1937 წელს 45 წლის ასაკში გარდაიცვალა, 1967 წელს კი იგი გადმოასვენეს თბილისში და დაკრძალეს მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

Robert Schumann

Concerto for Piano and Orchestra in A Minor, Op. 54

In 1839, Schumann published his article about piano concertos, elucidating the challenges of the genre: "The separation of the piano from the orchestra is something we have seen coming for some time...We must await the genius who will show us in a newer and more brilliant way how orchestra and piano may be combined, how the soloist, dominant at the keyboard, may unfold the wealth of his instrument and his art, while the orchestra, no longer a mere spectator, may interweave its manifold facets into the scene." In 1845, Schumann composed his piano concerto, becoming the awaited genius himself. In fact, the work originated in May of 1841 as a Concert Phantasie in A Minor for piano and orchestra; Though, in 1845 Schumann added two movements to the Fantasy. The Concerto was distinguished by the intensive interaction between the piano and the orchestra, opposed to the standard competition between them in virtuoso concertos of the day. In addition, instead of just a brilliant virtuosic display, the A Minor Concerto demanded emotion, grace and clarity from the soloist. The first performance of the Fantasy took place on 13 August 1841 at the Gewandhaus in Leipzig with Clara Schumann as the soloist. The complete three-movement version was premiered in Dresden on 4 December 1845 by Clara and the dedicatee Ferdinand Hiller conducting the orchestra. On 1 January 1846, the Concerto was performed again in Leipzig by Felix Mendelssohn as the conductor. Since then Schumann's only Piano Concerto has been an inseparable part of piano and orchestra repertoire worldwide.

Felix Mendelssohn

Symphony No. 4 in A Major, Op. 90, "Italian"

In 1830, sixteen years before conducting Schumann's Piano Concerto, 20-year-old Felix Mendelssohn at the recommendation of his friend Johann Wolfgang von Goethe embarked on his trip to Italy. "This is Italy! And now has begun what I have always thought...to be the supreme joy in life. And I am loving it," he wrote to his father. Impressed by the beauty and magic atmosphere of Italy he made some sketches of a symphony which, according to Mendelssohn, would manifest not only his impressions of the art and landscape but also the vital spirit of the Italians. The A Major Symphony, to be nicknamed "Italian", was completed in Berlin in March 1833 and premiered on May 13 of the same year in London by the London Philharmonic Society under the baton of Mendelssohn himself. Despite its immediate success, Mendelssohn struggled with the score for years. He never published it and even forbid performances of the Symphony in Germany during his lifetime. At his death he left some sketches for extensive revisions which were ignored when the "Italian" Symphony was published in 1851. The version consisting of his revisions to the last three movements was printed later by Bärenreiter, though it is Mendelssohn's original version that became the standard edition performed by orchestras.

Meanwhile in Georgia

The first Georgian Piano Concerto was composed almost seven decades after Schumann's A Minor Concerto. On March 7 1913, Georgian pianist and composer Erekle Jabadari performed his Piano Concerto "Georgian Rhapsody" in the Vienna Musikverein. "We were introduced to Erekle Jabadari - a pianist and composer with unique talent. His Rhapsody is saturated with Georgian melodies," wrote the prestigious Austrian newspaper Fremden-Blatt. The Georgian immigrant whose work was often performed in Europe turned out to be one of the first to introduce the achievements of Georgian piano and composition schools to Europe. Jabadari died at the age of 45 in 1937 in Nice, France. In 1967 his remains were transferred to Tbilisi and buried in the Didube Pantheon of Writers and Public Figures of Georgia.

